პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585
1977/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 10 (441)

1977 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

...ული ბიბლიოთეკა

№ 10 (441) ოქტომბერი 1977 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი


განყოფილება პირველი

131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სრულიად საქართველოს ცაკის, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს 1933 წლის 1 ოქტომბრის დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

134. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. ღოღობერიძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. ჯარიაშვილისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ პირთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშენებლობასა და ვადამდე დამთავრებაში.

137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.


კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბ.
ბიბლიოთეკა

139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ვარასტაშ-ვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

140. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ი. ფრუიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

141. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. დ. ლომბა-შიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

142. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშენებლობასა და ვადამდე დამთავრებაში.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 131 სრულიად საქართველოს ცაკის, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს 1933 წლის 1 ოქტომბრის დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გაერთიანებისა და ამ გაერთიანების წესის შესახებ" სრულიად საქართველოს ცაკის, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს 1933 წლის 1 ოქტომბრის დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტები (საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1933 წ., № 25, მუხ. 332).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი, 1977 წლის 14 ოქტომბერი.**

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 132 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის":

გივი ბენიას ძე **ბურკაძე** — ვანის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშა.

თამაზ ნიკოლოზის ძე **დოლაბერიძე** — გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე.

ალექსი ფილიპეს ძე **კურტიანი** — ვერტმფრენის უფროსი პილოტი.

ავთანდილ ეზეკის ძე **ლორთქიფანიძე** — ვანის რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ალექსანდრეს ძე ტყეშელაშვილი — ვანის რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების ეგერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 27 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 133 რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის რევოლუციური წარსულის პროპაგანდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის გახსნის 40 წელთან დაკავშირებით, მიენიჭოთ **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება** მუზეუმის მუშაკებს:

დურმიშხან ნიკოლოზის ძე **მესხს** — მუზეუმის გამგეს.

მიხეილ ბენიამინის ძე **ოშმაყაშვილს** — მუზეუმის ექსკურსიამძღოლ-ლექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 134 ამხ. ა. ს. ლოლობერიძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. არჩილ სევერიანის ძე **ლოლობერიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 135 ამხ. მ. გ. ჯარიაშვილისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების უფროს ოსტატს ამხ. მიხეილ გიორგის ძე **ჯარიაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 136 იმ პირთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშენებლობასა და ვადამდე დამთავრებაში

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის, ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და ამ გზის წარმატებით და ვადამდე დამთავრებასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა**

ავთანდილ იროდიონის ძე **ჩალაძეს** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

ბიძინა ბიძინას ძე **მჭედლიძეს** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველს.

ვლადიმერ კალისტრატეს ძე **ცაგარეიშვილს** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლისა

ვაჟა რაჟდენის ძე დევდარიანს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო-სამშენებლო უბნის მეექსკავატორეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 27 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 137 რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, გახსნის 40 წელთან დაკავშირებით, **რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1977 წლის 20 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 138 რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის რევოლუციური წარსულის პროპაგანდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის გახსნის 40 წელთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** მუზეუმის თანამშრომლები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ ვლადიმერის ასული **აბაზაძე** — მუზეუმის ექსკურსიამძღოლ-ლექტორი.

მამილა გიორგის ასული **გოშაძე** — მუზეუმის მებაღე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 20 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 139 ამხ. ა. გ. პარასტაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე გიორგის ძე **პარასტაევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 20 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 140 ამხ. ო. ი. ფრუიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამთოქიმიურ მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" მთავარი ინჟინერი ამხ. ოთარ იაკობის ძე **ფრუიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1977 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 141 ამხ. ზ. დ. ლამბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" მთავარი ინჟინერი ამხ. ზურაბ დიმიტრის ძე **ლამბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 142 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშენებლობასა და ვადამდე დამთავრებაში

ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, სამუშაოთა წარმატებით და ვადამდე დამთავრებასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ანზორ სერგის ძე **აბესაძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი.

შოთა პლატონის ძე **აკობია** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს ხურო.

ირაკლი ივანეს ძე **არობელიძე** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის მმართველი.

ოთარ ავქსენტის ძე **ანსიანი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 14 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის მებულდოზერე.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

თამაზ მიხეილის ძე **ახვლედიანი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

ბეგლარ ილიას ძე **ბერელიძე** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი.

ომარ ნიკოლოზის ძე **გაჩეჩილაძე** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს მებულდოზერე.

ბონდო რაჟდენის ძე **გიორგაძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მძღოლი.

ანტონ გიორგის ძე **გოგიბერიძე** — თბილისის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „ავტოგზატრანსის" პროექტის მთავარი ინჟინერი.

კობა ნიკოლოზის ძე **გოგიძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მძღოლი.

გურამ იასონის ძე **გუბელაძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხიდ-სარემონტო-სამშენებლო კომბინატის უფროსი.

შამშე ბულატის ძე **გურჩიანი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 14 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსი.

ზურაბ გიორგის ძე **დოლონაძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო უბნის მთავარი ინჟინერი.

არკადი სომის ძე **დიულგაროვი** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

ბუდუ ალექსანდრეს ძე **ენუქიძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი.

ჯემალ გიორგის ძე **ვეფხვაძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე.

შალვა აკაკის ძე **ტორუა** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი.

ფარნაოზ პეტრეს ძე **კახიძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის პირველი მოადგილე.

იუზა შოთას ძე **მამისეიშვილი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ოპერატორი.

იური ივანეს ძე **მარუშკინი** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს მძღოლი.

რონიკო პოლიაქტორის ძე **მენაღარაშვილი** — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

კუკური კონსტანტინეს ძე **ნავერიანი** — „საქაფეთქებამრეწვის“ სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

თენგიზ რომანის ძე **ნემსიწვერიძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს მბურღავი.

თენგის ავთანდილის ძე **ნიკოლაიშვილი** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს მძღოლი.

გიორგი ნესტორის ძე **ნოდია** — გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

კონსტანტინე ვლადიმერის ძე **ოკუჲაშვილი** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს მეასფალტე.

ვლადიმერ გიორგის ძე **ჟორჟოლაძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის გზების მშენებლობის სამმართველოს უფროსი.

ელგუჯა სერგის ძე **ჟორჟოლიანი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ოპერატორი.

ბორის ერასტის ძე **სარალიძე** — საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი.

მიხეილ სიკოს ძე **სხულუხია** — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მძღოლი.

ლევან გიორგის ძე **თიბილაშვილი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მებულდოზერე.

ვაჟა ჭიჭიკოს ძე **ტოგონიძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

მურად აზოვის ძე **უშხვანი** — მესტიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ნიკოლოზ პეტრეს ძე **ქავთარაძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს ბეტონის ქარხნის ოპერატორი.

ჯვებე ავქსენტის ძე **ქურდიანი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსი.

ნოდარ თეოდორის ძე **შუკვანი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო უბნის მებულდოზერე.

ვასილ გრიგოლის ძე **ჩალაძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს მბურღავი.

ნიკოლოზ შალვას ძე **ჩარკვიანი** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს ოსტატი.

შოთა იასონის ძე **ჩიკვაიძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 14 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის მძღოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ივანეს ძე **ჩიტია** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს მებულდოზერე.

ვაჟა ჰამურზის ძე **ჩხვიმიანი** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი.

ვალოდია ვლადიმერის ძე **ცუხიშვილი** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს მებულდოზერე.

ზურაბ გიორგის ძე **ძოწენიძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

იუზა ვალერიანის ძე **ჭაკვეტაძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

შალვა პალადის ძე **ჭილლაძე** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 7 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მეექსკავატორე.

კლიმენტი ბესარიონის ძე **ჭკადუა** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 14 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის მექანიკოსი.

ჯემალ გერმანეს ძე **ხერგიანი** — საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის ინსტრუქტორი.

ალექსანდრე სანდროს ძე **ხეცაძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს მებულდოზერე.

ზაქარია იაკობის ძე **ხოსიაშვილი** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს ელექტრიკოსი.

აკაკი დომენტის ძე **ხუნჯგურუა** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ავტოგრეიდერისტი.

ომარ შალვას ძე **ხუნწაძე** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის გზების მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს მეასფალტე.

ზაველი ტარიელის ძე **ჯალაღანია** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშა.

სოსო ვახტანგის ძე **ჯალაღანია** — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშა.

სანდრო არჩილის ძე **ჯილაური** — „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს ზეინკალი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი, 1977 წლის 27 ოქტომბერი.**

განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1977 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა საკითხი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ქალთა შრომის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

ამასთან ერთად, აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში ქალთა შრომის, დასვენების, ყოფა-ცხოვრების პირობებისა და დედისა და ბავშვის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ზოგიერთი საწარმოს ადმინისტრაცია არღვევს შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნებს და სამუშაოდან ათავისუფლებს ორსულ ქალებს, ასევე ქალებს, რომლებიც შვებულებაში იმყოფებიან ორსულობის ან მშობიარობის გამო. ადგილი აქვს ქალთა სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევებს პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

ზოგიერთ საწარმოში უხეშად ირღვევა შრომის კანონთა კოდექსის 62-ე მუხლის მოთხოვნა—ადმინისტრაცია პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის ნებართვის გარეშე დასვენების დღეებს აცხადებს სამუშაო დღეებად. ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებში არ ტარდება სათანადო ღონისძიებები შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა განსახორციელებლად.

სამინისტრო სათანადო ზომებს არ იღებს ხელით შრომის ლიკვიდაციისა და მუშა-ქალთა გამოსათავისუფლებლად შრომის მავნე პირობებიან და მძიმე სამუშაოებიდან.

საწარმოო პროცესების მექანიზაციის დაბალი დონის გამო ქალებს უხდებათ ისეთი სიმძიმეების გადაადგილება ან გადატანა, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება მათთვის დადგენილ ზღვრულ ნორმებს. ბევრ საწარმოში მუშა-ქალები შრომობენ ღამის ცვლაში.

საწარმოთა უმრავლესობაში ირღვევა საწარმოო-სანიტარიული ნორმების მოთხოვნები. სერიოზული ნაკლოვანებებია ქალთა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. არადამაკმაყოფილებლადაა ორგანიზებული მათი სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვა.

საწარმოთა მუშაობის განრიგს არ შეესაბამება სასადილოების მუშაობის რეჟიმი.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები სხვა მიზეზებთან ერთად განპირობებულია იმითაც, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო კონტროლს არ ახორციელებენ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებში ქალთა შრომის, დასვენების, ყოფა-ცხოვრების პირობებისა და დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე და არ იღებენ ზომებს არსებული დარღვევების სალიკვიდაციოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას ქალთა შრომის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად დაცვას, აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებანი მეტად უმნიშვნელო და არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე განიხილა საკითხი ლაგოდეხისა და ვანის რაიონებში საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ლაგოდეხისა და ვანის რაიონებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების სერიოზული ხასიათის დარღვევებს. საბჭოების აღმასკომებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა სადღეისო მოთხოვნათა დონეზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ლაგოდეხისა და ვანის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

პერიოდულად შეისწავლონ კოლმეურნეობების საქმიანობა, სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვის მდგომარეობის საკითხები და მიიღონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ; საკითხების შესწავლასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში უფრო აქტიურად ჩააბან საბჭოების დეპუტატები და მუდმივი კომისიები. სისტემატური კონტროლი დააწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მეშვეობით პერიოდულად შეამოწმონ და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობათა გამგეობებს საკოლმეურნეო წესდების დაცვის საქმეში, კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და საკოლმეურნეო ცხოვრების სხვა საკითხთა გადაწყვეტაში;

უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საერთო (რწმუნებულთა) კრებებისა და გამგეობათა სხდომების რეგულარულად ჩატარება, ამასთან წარმოების მართვაში ფართოდ ჩააბან კოლმეურნეები, გაზარდონ მათი შემოქმედებითი ინიცია-

ტივა და აქტივობა საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში, არ დაუშვან გამგეობის სხდომებზე ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც კოლმეურნეობის საერთო (რწმუნებულთა) კრების ან სხვა ორგანოების კომპეტენციაშია; კანონთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ კოლმეურნეობათა გამგეობების დადგენილებები, ქმედითად დაეხმარონ კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა საჭირო დახმარება და კონტროლი გაუწიოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს საკოლმეურნეო წესდების სწორად და განუხრელად გატარებასა და საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვაში; პერიოდულად შეისწავლოს კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციული საქმიანობა და დასახოს კონკრეტული ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ პროკურატურას რეკომენდაცია მიეცა გააძლიეროს ზედამხედველობა კოლმეურნეობებში სოციალისტური კანონიერებისა და საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვის მდგომარეობის საკითხები.

* * *

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა საკითხები: რაიონული (საქალაქო) სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლების შექმნის თაობაზე, რესპუბლიკის მშრომელთა „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და სხვ.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 189 მრავალშვილიანი დედა:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისიდან | 8 |
| ქ. რუსთავიდან | 7 |
| ქ. ტყიბულიდან | 3 |
| ქ. ფოთიდან | 3 |
| ქ. ქუთაისიდან | 5 |
| ქ. ჭიათურიდან | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ასპინძის | რაიონიდან | 10 |
| გორის | „ | 17 |
| დუშეთის | „ | 5 |
| ლაგოდეხის | „ | 12 |
| ო ნ ი ს | „ | 1 |
| ორჯონიკიძის | „ | 1 |
| საგარეჯოს | „ | 21 |
| ყვარლის | „ | 13 |
| წალკის | „ | 11 |
| წულუკიძის | „ | 2 |
| ბოლნისის | „ | 10 |
| ჩოხატაურის | „ | 5 |
| ჩხოროწყუს | „ | 8 |
| ცხაკაიას | „ | 4 |
| ხობის | „ | 4 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 26 |

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის" მედლით დაჯილდოვდა 1166 კაცი:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის | რაიონიდან | 164 |
| „ საქარხნო | „ | 30 |
| „ კალინინის | „ | 69 |
| „ ორჯონიკიძის | „ | 230 |
| „ ოქტომბრის | „ | 67 |
| ქ. გორიდან | | 25 |
| ქ. ტყიბულიდან | | 182 |
| ახმეტის | რაიონიდან | 120 |
| ბოგდანოვკის | „ | 2 |
| გარდაბნის | „ | 20 |
| დუშეთის | „ | 31 |
| მცხეთის | „ | 31 |
| თელავის | „ | 8 |
| თიანეთის | „ | 20 |
| საჩხერის | „ | 147 |
| ხაშურის | „ | 20 |